ოქმი #2

თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 23 მაისის სხდომისა

სხდომას ესწრებოდნენ:

სამეცნიერო საბჭოს წევრები: მ. აშორდია, გ. ბერიკელაშვილი, ვ. გარსევანიშვილი, თ. დათუაშვილი, ა. ელაშვილი, მ. ელიაშვილი, ნ. ინასარიძე, ხ. ინასარიძე, დ. კაპანაძე, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი, გ. ლავრელაშვილი, მ. მანია, ბ. მესაბლიშვილი, ა. მესხი, ს. სანებლიძე, ნ. ფარცვანია, ნ. შავლაყაძე, ო. ჭკადუა (სამეცნიერო საბჭო შედგება 29 წევრისაგან, სხდომას ესწრებოდა 20 წევრი).

დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისათვის წარსადგენი კანდიდატურების შესარჩევად კრიტერიუმების განსაზღვრა და შერჩევის წესის დადგენა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისათვის კანდიდატურების შერჩევა.

არჩეულ იქნა: სხდომის თავმჯდომარე - მიხეილ მანია, სხდომის მდივანი - თამარ დათუაშვილი.

მოისმინეს: ინსტიტუტის დირექტორის ნინო ფარცვანიას გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირების წესის თანახმად ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ უნდა განსაზღვროს კანდიდატურების შერჩევის კრიტერიუმები და წესი.

დაადგინეს: თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისათვის წარსადგენი კანდიდატურების შესარჩევად განისაზღვროს შემდეგი კრიტერიუმები: კანდიდატურა უნდა იყოს ფართო სპექტრის მეცნიერი, გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს 20 მაინც რეიტინგული სტატია, მათ შორის 10 მაინც იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში. კანდიდატურების შერჩევის წესი განისაზღვროს შემდეგნაირად: დასახელებული კანდიდატურებისთვის ხმის მიცემა ჩატარდეს ღია კენჭისყრით. გამარჯვებულად ჩაითვალოს ის კანდიდატურა, რომელიც მიიღეს დამსწრეთა ხმების ნახევარზე მეტს.

თსუ საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრობისთვის **დასახელდა 2 კანდიდატურა:** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **დავით კაპანაძე** და მათემატიკური ანალიზის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ალექსანდრე მესხი.**

საკითხი დადგა კენჭისყრაზე. ჩატარდა ღია კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები: დავით კაპანაძე: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0.
ალექსანდრე მესხი: მომხრე - 20, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: 1) ღია კენჭისყრის შედეგების საფუძველზე **ერთხმად** თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს ფორმირებისათვის შერჩეულ იქნა თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ფიზიკის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის **დავით კაპანაძისა** და მათემატიკური ანალიზის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომლის **ალექსანდრე მესხის** კანდიდატურები; 2) დავით კაპანაძისა და ალექსანდრე მესხის კანდიდატურები განსახილველად წარედგინოს თსუ რექტორს.

სხდომის თავმჯდომარე მ. მანია

სხდომის მდივანი თ. დათუაშვილი